მომხს: გ. თავბერიძე

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„-----“ თებერვალი 2020 წ.

ქ. თელავი

„მერების შეთანხმებაში კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“
თელავის მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტი მიუერთდეს „მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“.
2. თელავის მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას 2030 წლისათვის, საკუთარ ტერიტორიაზე მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO_2-ის (და სხვა სათბური აირების) ემისია ენერგოეფექტურობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით და კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით აამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.
3. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს „მერების შეთანხმებაში კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ განსაზღვრული ღონისძიებების თანმიმდევრულად განხორციელება.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**